

სტრატეგიული განვითარების  
გეგმა  
**2018-2024**



## სარჩევი

შესავალი.....	3
მისია, ხედვა, ღირებულებები .....	4
მიზნები.....	5
დაგეგმვის პროცესი .....	5
SWOT ანალიზი .....	7
დაწესებულება დღეს .....	9
სტუდენტური ცხოვრება .....	11
სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები.....	13
მონიტორინგი და შეფასება.....	16

## შესავალი

2013 წლის 10 ოქტომბერს შ.პ.ს „ახალ უმაღლეს სასწავლებელს-ნიუუნის“ (შემდგომში, „აუსი“) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

მას შემდეგ, აუს-ი სტუდენტებს სთავაზობს კვალიფიციური განათლების მიღების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას მაღალკვალიფიციური, გამოცდილი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით.

აუს-ი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

თანამედროვე საგანმანათლებლო ბაზარზე „ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა-ნიუუნიმ“ უკვე დაიმკვიდრა ადგილი, რაც დასტურდება სწავლის მსურველთა ზრდის ტენდენციით.

აუს-ს აქვს სტუდენტზე ორიენტირებული და თანამედროვე სწავლებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯი. აუს-ი ქმნის შესაძლებლობების ფართო არეალს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნისათვის აკადემიური განათლების მქონე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუუნის“ წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს და განსაზღვრავს მათ დასაძლევად საჭირო ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს, საქმიანობის უმთავრესი მიზნების მიღწევის სტრატეგიას, რაც უზრუნველყოფს მისიის განხორციელებას და დასახული მიზნების მიღწევას; მასში კონკრეტდება დაწესებულების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, სამომავლო აქტივობები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტიტუციის ყოველდღიერი საქმიანობის შესაბამისობას მის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა ინსტიტუციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა - პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები - ფართო ჩართულობით, პროცესი მიმდინარეობდა გამჭვირვალედ.

## მისია, ხედვა, ღირებულებები

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის“ არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულ იქნა დაწესებულების ფართო საზოგადოებრიობისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მუშაობის შედეგად. შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა „განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა“ და „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მისია, ხედვა და ღირებულებები.

### ხედვა

ახალი უმაღლესი სასწავლებლი - ნიუუნი წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამის, სტუდენტისა და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საგანმანათლებლო და სოციალურ მხარდაჭერას; აქვს მაღალი ნდობა და საყოველთაო აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

### მისია

ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათთვის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა წარმატების ხელშეწყობა მრავალფეროვანი აკადემიური, პროფესიული, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებით; კვლევითი საქმიანობის განვითარება და შედეგების სწავლების პროცესში ინტეგრირება.

### ღირებულებები

კეთილსინდისიერება;

აკადემიური თავისუფლება;

უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა;

სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა;

გამჭვირვალობა;

გუნდურობა.

## მიზნები

### სასწავლებლის მიზნებია:


- პოტენციურ დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მათ გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა, სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- სტუდენტზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა;
- სპეციალური საჭიროების მქონე და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო პირობებისა და გარემოს უზრუნველყოფა;
- ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა/წახალისება;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;
- საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების შეთავაზება;
- კურსდამთვარებულთა დასაქმების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

## დაგეგმვის პროცესი

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს წინ უძლვოდა რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სტრატეგიული დაგეგვის მეთოდოლოგიის შემუშავება, დაწესებულების მისისა და მიზნების, მისი საქმიანობის კრიტიკული ანალიზი; შეფასება SWOT - ანალიზის მეშვეობით, განისაზღვრა დაწესებულების შესაძლებლობები, მოხდა სტრატეგიის ფორმულირება და შეიქმნა ფუნქციონალური დოკუმენტი; ამასთან, განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზაციის/შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. შედეგად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმა და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი), რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილია.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა ინსტიტუციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით, კერძოდ, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების თანამონაწილეობით.

„ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუჟნის“ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის  
შედგენაში ჩართული მხარეები:



აუს-ს სტრატეგიული განვითარების გეგმას საფუძვლად დაედო:

- ➔ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021);
- ➔ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი (2016-2020);
- ➔ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- ➔ განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015;
- ➔ ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუჟნის მიერ განხორციელებული შიდა და გარე კვლევები. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმა და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი), წარუდგინა აკადემიურ საჭიროებების განსახილველად, რომელმაც ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარუდგინა რექტორს დასამტკიცებლად.

## SWOT ანალიზი

SWOT ანალიზის შემუშავების პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, ასევე სასწავლებლის თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული, რათა ზუსტად მომხდარიყო სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესწავლა.

„ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუუნის“ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დეტალური ანალიზის განსახორციელებლად წარმოგიდგენთ ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც უფრო სიღრმისეულად ასახავს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუუნის“ შესაძლებლობებსა და არსებულ გარემოს. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფი მომუშავე ჯგუფისა და ჩართული ერთეულების მიერ მოხდა არსებული ვითარების შეფასება, გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინება, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულ იქნა სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

Strengths - ძლიერი მხარეები	Weaknesses - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>→ სტუდენტებზე მორგებული სასწავლო სისტემა და სამართლიანი გარემო;</li> <li>→ სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები;</li> <li>→ მაღალკვალიფიციური აკადემიური /მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი;</li> <li>→ ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები,</li> <li>→ პერონალისა და სტუდენტების მოტივაციის სისტემა;</li> <li>→ პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;</li> <li>→ აუცილებელი ტექნიკით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა;</li> <li>→ აქტიური და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება;</li> <li>→ პოტენციური დამსაქმებლების მზარდი რიცხვი და დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმები;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>→ ცნობადობის ნაკლებობა აბიტურიენტებს შორის;</li> <li>→ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტთა ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებელი;</li> <li>→ გაცვლითი პროგრამების სიმწირე თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე;</li> <li>→ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა დაბალი ხვედრითი წილი;</li> <li>→ რეკრეაციული სივრცის სიმწირე;</li> <li>→ უცხოენოვანი კურსების მცირე რაოდენობა;</li> <li>→ იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების სიმცირე.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>→ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდასაგრანტო დაფინანსების სისტემა;</li> <li>→ გამართული მენეჯმენტი, გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების პრაქტიკა;</li> <li>→ თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და გუნდური მუშაობა;</li> <li>→ პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა;</li> <li>→ გახსნილობა და გამჭირვალობა;</li> <li>→ ორგანიზაციული ნაკლოვანებების ობიექტურად შეფასების პრაქტიკა;</li> <li>→ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანობაში ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.</li> </ul>	
<p style="text-align: center;"><b>Opportunities - შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>→ გაცვლითი პროგრამები და ინტერნაციონალიზაცია;</li> <li>→ დამსაქმებელთა და სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა შორის აქტიური თანამშრომლობა;</li> <li>→ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება კონკურენციის ზრდის პარალელურად;</li> <li>→ ლოკალური და საერთაშორისო პარტნიორობა;</li> <li>→ შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია /დამატებითი მომსახურების შესაძლებლობების გამოყენება/;</li> <li>→ ადგილობრივი და უცხოელი პრაქტიკოსების მოზიდვის შესაძლებლობა.</li> </ul>	<p style="text-align: center;"><b>Threats - საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>→ საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენციის ზრდა;</li> <li>→ კონკურენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწრაფი ინფრასტრუქტურული განვითარება;</li> <li>→ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;</li> <li>→ გაუთვალისწინებელი საკანონმდებლო ცვლილებები.</li> </ul>

## დაწესებულება დღეს

### დიდი წარმატება - სწორი არჩევანით იწყება!

“ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუჟნი” ფუნქციონირებს 2013 წლიდან და ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს: ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები.

სასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტებსა და მათ საჭიროებებზე; ხელმძღვანელობა ითვალისწინებს სტუდენტთა სურვილებსა და გონივრულ შენიშვნებს/რეკომენდაციებს, ზრუნავს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სრულყოფასა და ამაღლებაზე.

“ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუჟნის” მენეჯმენტი აგებულია პარიტეტულ და აკადემიურ საწყისებზე. სასწავლებელს ხელმძღვანელობს რექტორი, რომელიც ურთიერთობს მესამე პირებთან და აწარმოებს მოლაპარაკებებს, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს. სასწავლებელში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო - აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭო და სამსახურები, მათი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სასწავლებლის წესდებით და სამსახურების დებულებებით.

სასაწავლებლის მიზანია უწყვეტი განვითარება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ზრდა, ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება და დაწესებულების პრესტიულობის ამაღლება. აღნიშნული მიზანის წარმატებით მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ისევე საერთაშორისო სასწავლო/საგანმანათლებლო დაწესებულებებთა, აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიურობის სრული პატივისცემით.

“ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუჟნი” არის სივრცე, რომელშიც შერწყმულია თანამედროვე სტანდარტები სტუდენტების მოთხოვნებთან, რომელიც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რისი მიღწევა შესაძლებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით და მათ შორის უწყვეტი დიალოგის მეშვეობით.

სასწავლებლის ფინანსური მდგომარეობა მდგრადია, დანახარჯები მთლიანად უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი სახსრებით. სასწავლებლის ფინანსური რესურსები გამოიყენება მისი მუდმივი განვითარებისთვის, გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ყოველი სტრანდარტისა და რეკომენდაციის გათვალისწინებით, ”ახალი უმაღლესი სასწავლებელი-


ნიუჟნი“ ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობას, ასევე პერმანენტულად ზრდის მის ხარისხს, მიმზიდველობასა და მასშტაბს.

## სტუდენტები

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო და მართვის პროცესებში. ამასთან, იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული, სოციალური და შემეცნებითი ღონისძიება როგორც სასწავლებლის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელთა ორგანიზებითაც პერმანენტულად იმართება სხვადასხვა სახის შემეცნებითი, სპორტული და კულტურული ღონისძიება; სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები; ტარდება შიდა ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში; იმართება კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები, კონცერტები, სპექტაკლები. სტუდენტთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით ტარდება ტრენინგები, სემინარები, სტუდენტებისთვის შექმნილია სხვადასხვა უცხო ენის შემსწავლელი უფასო კურსები (პოლონური და ინგლისური ენები).

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

“ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუჟნის” მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. აღჭურვილია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისთვის, აუცილებელი სალექციო/სასწავლო აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრით, საკონფერენციო დარბაზით, ბიბლიოთეკით, ინვენტარით, დამხმარე სათავსოებით, სპორტული სივრცით, საექიმო კაბინეტით და სველი წერტილებით.



## სტუდენტური ცხოვრება

“ახალ უმაღლეს სასწავლებელში-ნიუუნიში” შექმნილია ყოველგვარი პირობა, რათა სტუდენტმა მიიღოს მაღალხარისხიანი განათლება, გამოიმუშაოს ინოვაციური და კრიტიკული აზროვნება; ჩამოყალიბდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის სპეციალისტად და შეიძინოს შემოქმედებითი უნარ-ჩვევები.


სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მხარდამჭერ მექანიზმებს. ფინანსური შეღავათები და სტიპენდიები ხელმისაწვდომია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის.

სასწავლებლის მთავარ ფასეულობას სტუდენტები წარმოადგენენ, შესაბამისად, “ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნი”, მაქსიმალურად ითვალისწინებს ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სტუდენტებს სთავაზობს სწავლის

გადასახადის სამართლიან და ინდივიდუალურ/მორგებულ გრაფიკს, ასევე სხვადასხვა სახის შეღავათებს.

სტუდენტთა საჭიროებების კვლევისათვის აქტიურად გამოიყენება კვლევების ანალიზი, რისი შედეგებიც პერმანენტულად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეთავაზებული აკადემიური თუ სხვა სახის სერვისების გაუმჯობესებისთვის. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში, დაწესებულების მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

სასწავლებელი მზადაა ახალი გამოწვევებისათვის და ყოველ რჩევასა და რეკომენდაციას ყურადღებით ეკიდება, რაც გულისხმობს სტუდენტებისათვის ინფრასტრუქტურული კომფორტის შექმნას თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესატყვისად. არსებული მდგომარეობით დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს ევროპული სტანდარტების სასწავლო გარემოს, რაც გულისხმობს:



## სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

სტრატეგიული მიმართულება 1 - საგანმანათლებლო და კვლევითი  
საქმიანობა

### სტრატეგიული მიზანი 1.1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ქვემიზანი 1.1.1 - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება რეაკტურების მომზადება და განახლებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ქვემიზანი 1.1.2 - საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება;

ქვემიზანი 1.1.3 - გარე დაინტერესებული პირების ჩართულობის გაზრდა პროგრამების განვითარებაზე;

ქვემიზანი 1.1.4 - საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;

ქვემიზანი 1.1.5 - კურიკულუმის პერიოდული განახლება;

ქვემიზანი 1.1.6 - ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

ქვემიზანი 1.1.7 - საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა.

### სტრატეგიული მიზანი 1.2 - სწავლა-სწავლების პროცესის განვითარება

### სტრატეგიული მიზანი 1.3 - კვლევითი საქმიანობის განვითარება

ქვემიზანი 1.3.1 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, შეფასებისა და დაფინანსების ინსტიტუციური პროცედურების განვითარების ხელშეწყობა;

ქვემიზანი 1.3.2 - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;

ქვემიზანი 1.3.3 - სტუდენტთა კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა;

**ქვემიზანი 1.3.4** - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა.

## **სტრატეგიული მიმართულება 2 - ინსტიტუციური განვითარება**

### **სტრატეგიული მიზანი 2.1 - მატერიალური რესურსების განვითარება**

**ქვემიზანი 2.1.1** - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

**ქვემიზანი 2.1.2** - შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა;

**ქვემიზანი 2.1.3** - ელექტრონული სერვისების განვითარება.

### **სტრატეგიული მიზანი 2.2 - ადამიანური რესურსების განვითარება**

**ქვემიზანი 2.2.1** - პერსონალის მართვის პოლიტიკის და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება;

**ქვემიზანი 2.2.2** - აკადემიური კორპუსის გაძლიერება;

**ქვემიზანი 2.2.3** - ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

### **სტრატეგიული მიზანი 2.3 - ინტერნაციონალიზაცია**

**ქვემიზანი 2.3.1** - ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმების განვითარება;

**ქვემიზანი 2.3.2** - სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;

**ქვემიზანი 2.3.3** - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

### **სტრატეგიული მიზანი 2.4 - საზოგადოებასთან ურთიერთობა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა**

**ქვემიზანი 2.4.1** - მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება;

- ქვემიზანი 2.4.2** - საზოგადოებაში ცნობადობის დონის ამაღლება;
- ქვემიზანი 2.4.3** - ვებ-გვერდის მოდერნიზაცია/განახლება;
- ქვემიზანი 2.4.4** - საქმიანობის გაძლიერება, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში;
- ქვემიზანი 2.4.5** - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობა.

### სტრატეგიული მიზანი 2.5 - ხარისხის უზრუნველყოფა

- ქვემიზანი 2.5.1** - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკისა და პროცესების ESG-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ქვემიზანი 2.5.2** - განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების სრული იმპლემენტაცია და შესაბამისი პროცესების უზრუნველყოფა;
- ქვემიზანი 2.5.3** - ხარისხის კულტურის გაზრდა.

### სტრატეგიული მიმართულება 3 - სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება

- ქვემიზანი 3.1** - საკონსულტაციო და კარიერული სერვისების განვითარება;
- ქვემიზანი 3.2** - სტუდენტთა ფინანსური და წამახალისებელი მექანიზმების მხარდაჭერა;
- ქვემიზანი 3.3** - კურიკულუმსგარე აქტივობების მხარდაჭერა.

არსებული/მოდიფიცირებული მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა სასწავლებლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების თანმიმდევრობა;
2. სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, მათი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;
3. სასწავლებლის თითოეული სტრატეგიული მიმართულების რეალიზებისათვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები;
4. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ვადები;

5. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესი, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ინდიკატორები. სტრატეგიული გეგმის სამოქმედო ნაწილის ქმედითი ხასიათის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესასრულებელი სამუშაოებისა და ღონისძიებების დეტალურად განსაზღვრა თითოეული სტრატეგიული მიზნის ამოცანების მიხედვით.

## მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგი და შეფასება უშუალოდაა დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზთან, რომელიც გვეხმარება იმის დადგენაში თუ რამდენად შედეგზე ორიენტირებულია გაწერილი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისთვის. მონიტორინგის და შეფასების შედეგები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რათა მკაფიოდ მოხდეს ყოველწლიური მოვლენების კრიტიკული აღქმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი ალტერნატიული სამოქმედო გეგმის შემუშავება. ანალიზზე დაყრდნობით უნდა მოხდეს პირველადი დასკვნების გამოტანა, რომლებიც შემდეგ განიხილება არსებულ კონტექსტში მირითადი დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

მონიტორინგის და შეფასების პროცესის დახვეწის მიზნით შემუშავდა მონიტორინგის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო მონაცემები, თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის განსაზღვრული შედეგი, კონკრეტული ვადები და სხვა. .

კონკრეტული ღონისძიების **შესრულების პროცესი მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში შეფასდება** მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემდეგი ოთხი კრიტერიუმით/რეიტინგით:

- **სრულად შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;
- **უმეტესად შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- **ნაწილობრივ შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- **არ შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.

ამასთანავე, თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესი გაიზომება მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემდეგი ხუთი კრიტერიუმით/სტატუსით:

- განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი ჯერ არ დაწყებულა.
- განხორციელების პროცესი მიმდინარეობს - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი მიმდინარეობს;
- განხორციელების პროცესი შეჩერებულია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეჩერებულია;
- განხორციელების პროცესი შეწყვეტილია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეწყვეტილია;
- განხორციელების პროცესი დასრულებულია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი დასრულებულია.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელია კონკრეტული შემსრულებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. ამასთან, თითოეულ სტრუქტურულ ერთეულში გამოყოფილია საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად არის ინფორმირებული შესაბამისი ერთეულის სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესახებ და პასუხისმგებელია მონიტორინგის ჯგუფთან ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

მონიტორინგის ჯგუფი შეისწავლის არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაცემს რეკომენდაციებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმის კორექტირების მიზნით.

მონიტორინგის ჩარჩოს შევსება მოხდება ყოველი წლის ბოლოს. პირველ ეტაპზე თავად პასუხისმგებელი უწყებების მიერ, რომლებიც თითოეული ღონისძიების მიხედვით შეაფასებენ როგორც მიღწეულ პროგრესს, ისე არსებულ გამოწვევებს. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დამუშავდება მონიტორინგის ჩარჩო მომუშავე ჯგუფის მიერ. მეორე ეტაპზე დამუშავებული მონიტორინგის ჩარჩო მიეწოდება აკადემიურ საბჭოს, რომელიც თავისმხრივ აფასებს თითოეული ღონისძიების პროგრესს. აკადემიური საბჭოს მიერ დამუშავებული ვერსია წარედგინება სასწავლებლის რექტორს საბოლოო დამტკიცებისათვის.

შეფასების ანგარიში წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შეფასების კომპონენტს და მიზნად ისახავს საანგარიშო წლის განმავლობაში პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ განსაზღვრული აქტივობების საშუალებით მიღწეულ შედეგებს და მათი ეფექტიანობის შეფასებას. ამასთან, შეფასება შესაძლებელს გახდის გამოავლინოს თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებასთან დაკავშირებული არსებული ვითარება, ხარვეზები და გამოწვევები.

შეფასების ანგარიში მომზადდება, როგორც მონიტორინგის ანგარიშებზე, ისე სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებზე დაყრდნობით. ამასთან, ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო შეფასებები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები, საერთაშორისო რეკომენდაციები და კვლევები, აგრეთვე პასუხისმგებელი უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სიღრმისეული კონსულტაციების შედეგები.

მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს მიზანია შეამოწმოს, თუ რამდენად თანხვედრაშია განხორციელებული აქტივობები და ინიციატივები გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან, შესაბამისად განსაზღვროს რეკომენდაციები საქმიანობის გაუმჯობესების კუნძულები.

#### მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ამოცანებია:

- არსებული გარემოებიდან გამომდინარე, შესაბამისი რჩევა მიაწოდოს სასწავლებლის მენეჯმენტს და უზრუნველყოს პროგრამული თუ ინსტიტუციური პრიორიტეტების განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაციით;
- განსაზღვროს, თუ რამდენად მოხდა სტრატეგიის განხორციელების შედეგების მიღწევა - პრიორიტეტების, ამოცანებისა და შუალედური შედეგების დონეზე;
- გააუმჯობესოს ინსტიტუციური განვითარება - შეფასების შედეგები შეიძლება კარგი საშუალება აღმოჩნდეს მიმდინარე ღონისძიებების, სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრის და განხორციელების ხარისხის შეფასების დროს;
- გააუმჯობესოს აკადემიური ხარისხი და გამჭირვალობა;
- უზრუნველყოს რესურსების ეფექტური განაწილება განსახორციელებელ ინიციატივებს, სპეციფიკურ პროგრამებსა და აქტივობებს შორის.

#### ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩოს ფუნქციებია:

- განსაზღვროს, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები და ამოცანები; მოგვიანებით კი, ინსტრუმენტის მეშვეობით, სტრატეგიის აქტუალურობის, ეფექტურობის, ეფექტიანობის, განხორციელების, ზემოქმედების და მდგრადობის გაზომვა და შეფასება;
- იყოს გზამკლევი სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი უწყებებისთვის და მენეჯმენტისთვის, რათა მათ განსაზღვრონ, თუ რა არის მათი როლი პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების დროს და გააცნობიერონ ამოცანების წარმატებით შესრულებაში მათი მონაწილეობის მნიშვნელობა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების დროს გამოწვევებისა და პრობლემების არსებობის შემთხვევაში განსაზღვროს, თუ როგორ მოხდება ინფორმაციის მიწოდება სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პასუხისმგებელი უწყებებისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის და საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.

## განმახორციელებელი ორგანო

სასწავლებლის რექტორის ბრძანებით, შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის პრეროგატივაც ყოველწლიური მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებაა. გარდა უშუალოდ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისა, აღნიშნული ჯგუფის ამოცანაა, თავად მონიტორინგისა და შეფასების სისტემის პერიოდული გაუმჯობესება.

ყოველ სტრუქტურულ ერთეულს/შემსრულებელ პირს ევალება მონიტორინგის ჯგუფს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინდიკატორების მიხედვით, რომლის მიხედვითაც მონიტორინგის ჯგუფი შეაფასებს სტრუქტურული ერთეულის/პასუხსმგებელი პირის შესრულებულ სამუშაოს.

## საბოლოო წლიური ანგარიში

საბოლოო წლიური ანგარიშის მიზანია „ახალი უმაღლესი სასწავლებლის-ნიუუნის“ განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ანალიზი. პრიორიტეტებისა და ამოცანების მეშვეობით განსაზღვრა, თუ რამდენად შესრულდა სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილი/განსაზღვრული საქმიანობები. საბოლოო ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს გაანალიზებული ყველა საფეხური, შესრულების მექანიზმები, ასევე ინფორმაცია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის წარმატებისა და გამოწვევების შესახებ.

## მონიტორინგისათვის ინფორმაციის შეგროვების სტრუქტურა:

